პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 10 (4004) 15 1970 წ. იანვარი. ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## არმიელები ჩემპიონებს დაეწივნენ

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატში ორი ტურის შემდეგ ლიდერობენ ალმა-ათის „ბურევესტნიკი" და ცსკა. არმიელებმა რიგაში ექვსივე მატჩი მოიგეს, მათ ძველი დრო გაიხსენეს: ბრწყინვალედ, შეთანხმებულად თამაშობდნენ. ცსკა-მ ორჯერ დაამარცხა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — ალმა-ათის „ბურევესტნიკი" და ახლა ამ გუნდებს ქულათა ერთნაირი რაოდენობა აქვთ: 9-9 11-დან.

არმიელთა მსგავსად, II ტური დაუმარცხებლად განვლო კიევის „ლოკომოტივმა". ამაში რკინიგზელებს, შესაძლოა, საკუთარი კედლებიც დაეხმარნენ, მაგრამ ეს არ იყო მთავარი: კიეველებმა ძალიან კარგად ითამაშეს და მკვეთრად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა — XI ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლეს.

სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი — ტალინის „კალევი" ჯერჯერობით III ადგილზეა.

მომდევნო ტური მოსკოვსა და ვოროშილოვგრადში აიღებს სტარტს 27 იანვარს.





## ახალი ამბები

● **ალმა-ათა**, 13 იანვარი. მედეუს მაღალმთიან საციგურაოზე დღეს დაიწყო სსრ კავშირის მოციგურავე მრავალჭიდელთა ჩემპიონატი. 500 მეტრზე რბენაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია სვერდლოვსკელმა ბ. გულიაევმა: მისი დრო — 39,03 წამი ახალი მსოფლიო რეკორდია. II ადგილი დაიკავა ა. ლეპიოშკინმა (ნოვოსიბირსკი) — 39,93. საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონი სპრინტერულ მრავალჭიდში ვ. მურატოვი (მოსკოვის ოლქი) ასპარეზობისას დაეცა. 5000-მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაირბინა მოსკოველმა ვ. ლავრუშკინმა — 7.37,83. II ადგილზეა ი. იუმაშევი — 7.38,20. სწორედ იუმაშევი დაწინაურდა შეჯიბრების პროგრამის ორი სახეობის შემდეგ — 86,580 ქულა.

● **კიევი**, 13 იანვარი. უკრაინის დედაქალაქის სპორტის სასახლეში დღეს სტარტი აიღო სსრ კავშირის 34-ე ჩემპიონატმა ფიგურულ ციგურაობაში. სავალდებულო პროგრამის შემდეგ წყვილთა სრიალში ლიდერობა ხელთ იგდეს სახელგანთქმულმა ლენინგრადელებმა ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა — 102,5 ქულა. მსოფლიო ჩემპიონთა წყვილს — მოსკოველებს ი. როდნინასა და ა. ულანოვს ერთ-ერთი რთული ელემენტი „ჩაუვარდათ" და ახლა... VIII ადგილზე არიან. სულ კი თორმეტმა წყვილმა იასპარეზა.

● **სიდნეი**, 13 იანვარი. თავისუფალი სტილით ცურვაში მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდსმენმა დები მაიერმა (აშშ) ახალი სამხრეთ უელსის შტატის (ავსტრალია) ღია ჩემპიონატში 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში პირველად მიიღო მონაწილეობა. მაიერის შედეგია 5.20,4.

● **პრაღა**, 13 იანვარი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა, რომელსაც გაზაფხულის დამდეგს მსოფლიო ჩემპიონატში უწევს ასპარეზობა, ჩეხოსლოვაკიაში პირველი ამხანაგური მატჩი გამართა: ამ ქვეყნის ოლიმპიურ გუნდს შეხვდა. ბრძოლა მეტად მწვავე იყო და სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 17:16 (7:10). საბჭოთა ხელბურთელთაგან ბურთები გაიტანეს: მაქსიმოვმა, მახორინმა — 5-5, სოლომკომ, კლიმოვმა — 2-2, ზელენოვმა, კოჟუხოვმა, შევჩენკომ.

## ვ. ბაშანოვსკი — საუკეთესო

**ვარშავა**, 13 იანვარი. ორი ოლიმპიადის ოქროს პრიზიორი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი, პოლონელი ძალოსანი ვ. ბაშანოვსკი 1969 წლის შედეგების მიხედვით თავისი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენადაა დასახელებული. ეს გამოავლინა გაზეთ „პშეგლონდ სპორტოვის" მკითხველთა ტრადიციულმა გამოკითხვამ, რომლის შედეგები სპორტის ოსტატთა ტრადიციულ მეჯლისზე გამოაქვეყნეს.

## 20-45

◆ **ალმა-ათა**, 14 იანვარი. ციგურებით სწრაფრბენაში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მეორე წელია ზედიზედ დაისაკუთრა მოსკოველმა ვ. ლავრუშკინმა, რომელმაც მედეუს მაღალმთიან საციგურაოზე დღე მრავალჭიდში ახალი საკავშირო რეკორდიც დაამყარა — 176,070 ქულა. II ადგილი დაიკავა ვოსკრესენსკელმა ი. იუმაშევმა, III — მოსკოველმა ი. მალიხინმა.

◆ **პრაღა**, 14 იანვარი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ ანგარიშით 20:13 (9:8) დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი — ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი. საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ვოლხონი (სემიონოვი), ზელენოვი (გაიტანა 2 ბურთი), სოლომკო (3), ზლოტენკო, ფხაკაძე (3), გულბისი, კლიმოვი (2), მაქსიმოვი (4), ცერცვაძე, მახორინი (6), შევჩენკო.

**ბაკურიანის პეიზაჟები**

სურათებზე: მარცხნივ — კოხტაგორაზე; მარჯვნივ — ახალი, 90-მეტრიანი ტრამპლინის სამსაჯო კოშკურა.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

## ბელგიელი გულთმისანი ● ასრულდა კიდეც სურვილი

**ბ**ელგიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი რ. გუტალსი ნაღდი გულთმისანი გამოდგა: მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალის მონაწილეთა კენჭისყრის წინადღეს მან გაზეთ „ხიტეში" შეუცდომლად დაასახელა თავისი გუნდის მეტოქენი, ესე იგი, ერთ-ერთი ჯგუფი ასე „ჩამოაყალიბა": სსრ კავშირი, მექსიკა, ბელგია, სალვადორი.

როგორც ხედავთ, I ჯგუფი მართლაც ზუსტად ასეთი თანმიმდევრობით გამოიკვეთა.

გუტალსი და ბელგიური პრესა უკმაყოფილონი როდი არიან კენჭისყრით. მწვრთნელმა განაცხადა, რომ „ბელგიის ნაკრებს ძალუძს მეოთხედფინალში გასვლა. მექსიკის, სსრ კავშირისა და ბელგიის გუნდებმა უნდა დაამარცხონ სალვადორელები. ალბათ, ამ ჯგუფის ბოლო მატჩი (11 ივნისს: ბელგია — მექსიკა. — რედ.) გადამწყვეტი იქნება მეოთხედფინალში გასასვლელად".

გუტალსის აზრით, სსრ კავშირის ნაკრებთან როგორც ბელგიელებს, ისე მექსიკელებს, ფრედ შეუძლიათ დაამთავრონ შეხვედრა.

* * *

რუმინეთის გაზეთ „სპორტულის" კორესპონდენტს ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა ა. ნიკულესკუმ განუცხადა: „მესამე ჯგუფი, რომელშიც ჩვენი გუნდი მოხვდა, მართლაც მრისხანეა. მაგრამ ჩვენ უკვე რამდენიმე წელია ვლაპარაკობთ, რომ საჭიროა ყველაზე ძლიერ მეტოქეებთან თამაში. და აი, ასრულდა კიდეც ჩვენი საერთო სურვილი... დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ბიჭების უმეტესობას სურს პელესთან და ბობი ჩარლტონთან შეამოწმოს ძალა".

## ემზადებიან ჩემპიონატებისთვის

### სულ რაღაც 3 წამით

კლინგენტალის (გდრ) მიდამოებში დამთავრდა მოთხილამურე ქალთა საერთაშორისო ტურნირი მსოფლიო პირველობისთვის მზადების პროგრამით.

შეჯიბრების ბოლო სახეობა იყო ესტაფეტა 3X5 კმ-ზე. პირველი ეტაპიდანვე ფინეთის, სსრ კავშირისა და მასპინძელთა გუნდები დაწინაურდნენ, მეორე ეტაპზე კი ფინელები ჩამორჩნენ. მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მესამე ეტაპზეც თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც II ადგილს დასჯერდნენ — სსრ კავშირის ტრიოსთან (გ. პილიუშენკო, ნ. შებალინა, ა. ოლიუნინა) სულ რაღაც 3 წამით წააგეს. გამარჯვებულთა შედეგია 1:02.24. III ადგილზე გავიდნენ ფინელები — 1:04.43.

### ძნელი გამოცდის წინ

ავსტრიაში გაიმართება იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. ფაქტიურად, ესაა კონტინენტის რეზერვის ძალთა შემოწმება მომავალი თეთრი ოლიმპიადისთვის, ამიტომ ამ შეჯიბრებას ყველა სათხილამურო ქვეყანაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მასში მონაწილეობისთვის ენერგიულად ემზადებიან. განსაკუთრებით ინტენსიური მზადებაა გაშლილი ნორვეგიაში, შვეციაში, ფინეთში, გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, სსრ კავშირში. სკანდინავიის ქვეყნებში, მაგალითად, იუნიორთა ევროპულ პირველობაში წარმატებით მონაწილეობისთვის ისევე ზრუნავენ, როგორც მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებისთვის.

სსრ კავშირის მოთხილამურეთა სასტარტო გამოცდა მოეწყო ვორონეჟში, სადაც გამარჯვებისთვის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდები იბრძოდნენ.

5 კმ-ზე ქალიშვილების შეჯიბრება იმდენად დაძაბული იყო, რომ ლ. დუდოვამ („სპარტაკი") მხოლოდ ერთი წამით აჯობა ნ. ეგოროვას („ტრუდი"), რომელმაც 21.54,0 აჩვენა. ვაჟებში არც 10 კმ-ზე მორბენალი ჭაბუკები დარჩნენ, ოღონდ აქ ა. სუსლოვმა („ინბეკი" — 36 23 0) მეტოქეს 3 წამი მოუგო. ა. სმეტანინმა („შრომითი რეზერვები") 36 26 0 აჩვენა. III ადგილზე გავიდა სმეტანინის თანაგუნდელი ა. პიატიგინი — 36.46,0.

შემდეგ გაიმართა ესტაფეტები ქალიშვილებისთვის 3X5, ხოლო ჭაბუკებისთვის 3X10 კმ-ზე. თუ ქალიშვილების შეჯიბრებაში „ტრუდის" ტრიოს უპირატესობა (1 16.59) აშკარა იყო, II ადგილისთვის ბრძოლაში სპარტაკელებმა (1·17.10) დინამოელებს 1 წამით აჯობეს.

ჭაბუკებს ეფრო მჭიდრო მაჩვენებლები ჰქონდათ. გაიმარჯვა „შრომითი რეზერვების" გუნდმა — 2·09.12. II ადგილზეა „ტრუდი" — 2 09.19, III — „ზენიტი" — 2:09.26.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა „ტრუდის" მოთხილამურეებს დარჩათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურასა და სპორტს — ყოველდღიური ზრუნვა!

## ● ● ბიურომ იმსჯელა

საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის ბიურომ ამას წინათ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებიან და ხელმძღვანელობენ ფიზკულტურის კოლექტივებს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი, აგრეთვე, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ბიურომ აღნიშნა, რომ ამ მხრივ გამოირჩევიან ჯგალის კვარაცხელიას, ორჯონიკიძის ს. ორჯონიკიძის, ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობების გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები. მათი ზრუნვის შედეგად ადგილებზე გაიხსნა სპორტსკოლები. შეჯიბრებებში აქტიურად მონაწილეობენ წალენჯიხის 1-ლი და მე-2, ჯგალისა და ჯვარის 1-ლი და მე-2, ქვედა მაზანდარის, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები.

აღინიშნა ნაკლოვანებებიც. ითქვა, რომ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ბევრგან სათანადოდ არ ეხმარებიან ფიზკულტურულ კოლექტივებს. მაგალითად, ჯგალის რუსთაველისა და ფახულანის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია, არა აქვთ კეთილმოწყობილი მოედნები. ასეთივე მდგომარეობაა ნაკიფუსა და ფახულანის საშუალო სკოლებში, რაიპროფკავშირში, რაიონულ საავადმყოფოში და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში. ლიის კოლმეურნეობა „თბილისის“, ობუჯისა და ფახულანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში დღემდე ვერ მოაგვარეს თუნდაც მარტივი ტიპის სპორტბაზების მოწყობის საქმე.

რაიკომის ბიურომ მიიღო სათანადო დადგენილება.

**თ. სალია.**
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

## ...ყველგან ასე როდია

ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მრავალდარგოვანი და მოწინავეა. კოლმეურნეობის გამგეობა და პარტბიურო ხელს უწყობენ ახალგაზრდებს ფიზიკურ წრთობაშიც. მათს განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები სოფლის ცენტრში, ინვენტარი. ამ სოფლის კოლმეურნე ფიზკულტურელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში.

— ხუთწლედის მეოთხე წელს კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ კოლმეურნეთა შორის ფიზკულტურულ მუშაობას, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ქოიავა.

ასევე კარგად საქმიანობენ აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, პირველი მაისის ლენინის სახელობის, ქოლობნის, კეთილარის კოლმეურნეობების ფიზკულტურული ორგანიზაციები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ნორიოს კოლმეურნეობაში, მაგალითად, ფიზკულტურული კოლექტივი უმოქმედოდაა, არ ეწყობა შეჯიბრებები, კეთილმოუწყობელია სპორტმოედანი. იგივე სურათია ზანათის საბჭოთა მეურნეობაში, მარნის, სამიქაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ „კოლმეურნის“ რაიონული საბჭო ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ეხმარება ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ახლახან რაიონული აღმასკომის სესიამ იმსჯელა რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობაზე, მისი გაუმჯობესების ღონისძიებებზე. სესიამ მიიღო საქმიანი გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას.

**ი. თოფურია.**
(ჩვენი კორ.).

აბაშა.

# ახალი სისტემით

წყალში მხტომელების ნაწილი მეტ ყურადღებას უთმობდა ტრამპლინს, ნაწილი კი კოშკს ამჯობინებდა. ასპარეზობის პრიზიორებშიც ცალ-ცალკე ვლინდებოდნენ ორივე იარაღზე.

წყალში ხტომის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით ამიერიდან გამარჯვების ბედს ორივე იარაღზე მოგროვილი ქულების საერთო ჯამი წყვეტს. ასეთი სისტემა კი წარმატების მოპოვებისთვის სპორტსმენს აიძულებს ორივე იარაღზე ვარჯიშის შესრულებაში დაოსტატდეს.

ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში ასეთი სისტემით პირველად ჩატარდა თბილისის უძლიერეს წყალში მხტომელთა პირადი პირველობა.

— ქალაქის პირველობებში მსაჯები ხშირად ლმობიერად იქცევიან, ამ შეჯიბრებაში კი ისინი ძალიან მკაცრები აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, მოასპარეზეებმა მაღალი შეფასებანი დაიმსახურეს, — გვითხრა საქართველოს წყალში მხტომელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. ინწკირველმა. — ამასთან, შეჯიბრებამ რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. ერთ-ერთი მათგანია ა. ბართაევი („ბურევესტნიკი“), რომელმაც ჯერ კიდევ შარშან, წლის ბოლოს მინსკში, ბელორუსიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრაში გამოიჩინა თავი — პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

ამ ასპარეზობაში იგი II ნახტომის შემდეგ V ადგილზე იყო. დარჩენილი სამი ნახტომით მან ბევრი ძლიერი სპორტსმენი ჩამოიტოვა და საბოლოო ჯამში III ადგილი მოიპოვა — 141,75 ქულა.

ქალთაგან ქებას ღირსია გ. რუხაძე, რომელმაც ღირსეული მეტოქეობა გაუწია გამოცდილ ოსტატებს ა. კალიაგინას, ნ. კიმკოს, ნ. ცოცხალაშვილს... კოშკიდან ხტომაში მან II ადგილი მოიპოვა. საბოლოო ჯამში რუხაძემ, მართალია, IV ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს მაინც დიდი წარმატებაა ახალგაზრდა სპორტსმენისთვის: იმედია, მოკლე ხანში იგი კარგი ოსტატი დადგება, — დაასრულა საუბარი უფროსმა მწვრთნელმა.

მართლაც, თბილისის მე-11 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე გ. რუხაძე ოსტატურად, ლამაზად და ძალდაუტანებლად ასრულებდა რთულ ნახტომებს.

**ა. ბურასაშვილი.**

### ტექნიკური შედეგები

**ქალები.** ა. კალიაგინა („განთიადი“) — 150,80 ქულა, ნ. ცოცხალაშვილი (ასკ) — 126,49, ნ. კიმკო („შრომითი რეზერვები“) — 120,60.

**ვაჟები.** რ. არუთინოვი — 168,68 ქულა, ვ. კირაკოსიანი (ორივე — ასკ) — 143,80, ა. ბართაევი — 141,75.

* * *

**სურათზე:** ა. კალიაგინა ხტომის დროს.

ფოტო ავტორისა.



## ტელეტაიპის ლენტიდან

### ✦ თბილისი

თბილგაზის კონტორაში ჩატარდა საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 12 კაცმა მიიღო მონაწილეობა. I-II ადგილები გაიყვეს ექსპლოატაციის განყოფილების ელექტრომზომავმა ი. მაისურაძემ და იზოლაციის განყოფილების მონტიორმა შ. არაბულმა. დამატებით მატჩში მაისურაძემ იმარჯვა.

**ო. ბახტაძე.**

* * *

კულტურის მუშაკთა საქალაქო პირველობაში 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის ფონეტიკის განყოფილების გამგემ ა. ურუშაძემ და თეატრალური ინსტიტუტის თანამშრომელმა ა. პოლიაკოვმა — 10,5-10,5 ქულა. III ადგილი ხვდა 1968 წლის ჩემპიონს, არქიტექტორ რ. შირიაევს — 9,5. პირველობის საზეიმო დახურვის დროს გამართულ ელვისებური თამაშის ტურნირში ყველას აჯობა ჟურნალისტმა ა. გაბილაიამ.

**ი. თოდრია.**

* * *

უნივერსიტეტის ტრადიციულ ჩემპიონატში 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა გეოგრაფია - გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა დ. გედევანიშვილმა — 9 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა ზ. ცინცაძემ და ვ. ვეფხვიშვილმა — 8,5-8,5.

**ა. ჯღარკავა,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

### ✦ სოხუმი

ქალაქის საგალანტერეო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები გატაცებით მისდევენ სპორტს. მათ განსაკუთრებით ტურიზმი უყვართ. ამ სახეობის სექციას 70-მდე წევრი ჰყავს. სექციას საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს ფაბრიკის მუშა, სპორტის ოსტატი მ. ხასაია. ამას წინათ მან სამდღიანი ტურისტული ლაშქრობა მოაწყო ჩუმკუზბის მწვერვალზე 25 კაცის მონაწილეობით.

**ი. გოგია.**

* * *

აფხაზეთის საჭადრაკო გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, სუბტროპიკული მეურნეობისა და პედაგოგიური ინსტიტუტების, განათლების სამინისტროს გუნდები. ჩემპიონობა დაისაკუთრა „დინამოს“ კოლექტივმა (ლ. ნაგელი, ო. იახიოპულო, გ. ქქადუა, ნ. იახიოპულო, დ. დოლიძე, ლ. ზაიდშერი).

* * *

მოშაშეთა საქალაქო გუნდურ პირველობაში 6 კოლექტივი ჩაება. ფინალურ ტურნირში კარგად ითამაშეს სპარტაკელებმა. მათ ანგარიშით 3:2 დაამარცხეს აფხაზეთის განათლების სამინისტროს კოლექტივი. გამარჯვებულ გუნდში შედიოდნენ: ოსტატობის კანდიდატი გ. ბარამიძე, პირველთანრიგოსნები ი. შჩეგლოვი, მ. ხანანაშვილი, პ. ვაგნერი და ლ. კალჩევსკაია. III ადგილი ხვდა „დინამოს“.

**გ. პოლოსიანი.**

### ✦ ზესტაფონი

რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლამ (ფიზაღზრდის მასწავლებელი ფ. მოდებაძე) მოაწყო ორდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: ზესტაფონი — მაიაკოვსკი — ქუთაისი — ზესტაფონი. მოლაშქრეებმა მაიაკოვსკში დაათვალიერეს დიდი პოეტის სახლ-მუზეუმი, ქუთაისის ღირსშესანიშნავი ადგილები.

**შ. მაწუმრავა.**

## ტელეტაიპის ლენტიდან

### ✦ ჩხოროწყუ

რაიონის სტადიონზე ამას წინათ გაიმართა პირველობა ლელოში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 გუნდი. გაიმარჯვეს მექანიზაციის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა.

* * *

შ. რუსთაველის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა რაიონული პირველობა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ქ. ჯალაღონიამ, გუნდურში — ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა.

**ხ. ჯალაღონია.**

## ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში

### კიროველთა „ტყის ფილიალი“

ლენინგრადი, 14 იანვარი. ტრადიციული დილის ვარჯიში ბუნების წიაღში უკვე მტკიცედ დამკვიდრდა კიროვის ქარხნის ბევრი მუშის დასვენების დღის რეჟიმში. სივერსკთან, ქარხნის პიონერულ ბანაკში, რომელიც ახლა ზამთრის ბაზადაა ქცეული, ყოველ კვირაში ამ გიგანტი საწარმოს 400 მუშა-მოსამსახურე ატარებს დასვენების დღეს. „ტყის ფილიალში“ მათს განკარგულებაშია თხილამურები, ციგურები, ფინური მარხილები. აქ ძალიან კარგი საციგურაოა. წარმტაც ტყეს ხშირი ნათხილამურევი სერავს. საღამოს ეწყობა გასართობი თამაშობები, ცეკვები, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები.

მუშებს პროფკავშირი მთლიანად ათავისუფლებს საგზაო საზრუნავისგან: პატარა გადასახადი თითოეულ მათგანს უზრუნველყოფს ბინითაც და კვებითაც.

„ტყის ფილიალის“ პოპულარობა თანდათან იზრდება. ამისთვის, პირველ ყოვლისა, იზრუნეს საამქროების უფროსებმა, რომელთაც შენიშნეს, რომ „ფილიალში“ დასვენების შემდეგ მუშების შრომისნაყოფიერება განსაკუთრებით მაღალია.

სეზონის დასასრულამდე ქარხნის „ტყის ფილიალში“ 7 ათასი მუშა დაისვენებს. ახლა კიროველთა დაკვეთით სამშენებლო ორგანიზაციები ამუშავებენ ნამდვილი „მწვანე ქალაქის“ პროექტს. ეს ქალაქი დასვენების დღეებში 2 ათასზე მეტ კაცს უმასპინძლებს.

(საქდესი).

# კვლავ ტარკილი

აფხაზეთის ძალოსანთა პირადგუნდურ პირველობაში იუნიორთა რამდენიმე საკავშირო რეკორდი დამყარდა. ფიცარნაგზე გამოვიდა „განთიადის“, „დინამოს“, „კოლმეურნის“, „სპარტაკისა“ და გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ნაკრები გუნდების 40-მდე უძლიერესი ათლეტი. დებულებით, ყოველი კოლექტივის შემადგენლობაში 4 იუნიორი უნდა ყოფილიყო (უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეჯიბრება აფხაზეთში კარგა ხანია არ გამართულა).

დაძაბული ბრძოლის შემდეგ ჩემპიონები გახდნენ: ო. მენეშიანი („დინამო“), ვ. მალაკანოვი, ბ. ბუშენცევი (ორივე — „კოლმეურნე“), ბ. მიხაილოვი, ფ. ასლანიანი (ორივე — „დინამო“), გ. სერი, ბ. ტიმონიჩევი (ორივე — „განთიადი“), ს. არზუმანიანი („კოლმეურნე“).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „განთიადის“ ნაკრებმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვ. რადიმაშვილი). II ადგილზეა „დინამო“ (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. მიხაილოვი), III — „კოლმეურნე“ (მწვრთნელი — სპორტის საპატიო ოსტატი ა. ჩოლოკიანი).

ქვემძიმე წონაში იუნიორთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა რ. ტარკილმა სამი რეკორდი დაამყარა: აჰიმვაში — 130 კგ, ატაცში — 130, აკვრაში — 161 კგ. ტარკილის შედეგი აკვრაში საქართველოს რეკორდიცაა.

**გ. იაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

# მხოლოდ თბილისსა და ფოთში...

ფოთში გაიმართა 1952-53 წლებში დაბადებულ მოზარდთა პირველობა ხელბურთში. რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავისა და ფოთის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები.

თბილისელმა ჭაბუკებმა (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი) და გოგონებმა (ვ. არაქელოვი) ყველა შეხვედრა გამარჯვებით დაამთავრეს და დამსახურებულად მოიპოვეს I ადგილები. დედაქალაქის ხელბურთელთა უპირატესობა თითქმის ყოველ მატჩში აშკარა იყო. თამაშის კლასში ასეთი სხვაობა ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული პერიფერიების ხელბურთელებთან მუშაობა ერთობ დაბალ დონეზე დგას. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ფოთის გოგონათა (მწვრთნელი ქ. გაგულია) და ჭაბუკთა (ა. ლომაია) გუნდები, რომლებმაც II ადგილები დაიკავეს და მხოლოდ თბილისელებთან წააგეს შეხვედრები. ამასთან, ერთადერთი მატჩი, რომელშიც თბილისელებს გაუჭირდათ გამარჯვება, ფოთელ გოგონებთან უშედავათო შეხვედრა იყო. ეს არცაა გასაკვირი: ფოთელ გოგონათა გუნდმა ამ ბოლო ხანს საკავშირო სარბიელზე ხომ ბევრი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა!

ჭაბუკებში III ადგილი წილად ხვდათ სოხუმელებს (მწვრთნელი ი. ჯანგავაძე), ხოლო გოგონებში — ქუთაისელებს (გ. გურულიშვილი).

მოგვყავს შეჯიბრების ტექნიკური შედეგები: **ჭაბუკები.** თბილისი — ქუთაისი 38:9, თბილისი — ბათუმი 37:6, თბილისი — სოხუმი 23:8, თბილისი — რუსთავი 30:8, თბილისი — ფოთი 35:22, ქუთაისი — ბათუმი 24:27, ქუთაისი — სოხუმი 23:30, ქუთაისი — რუსთავი 17:22, ქუთაისი — ფოთი 19:39, ბათუმი — სოხუმი 28:46, ბათუმი — რუსთავი 23:22, ბათუმი — ფოთი 32:40, სოხუმი — რუსთავი 36:38, სოხუმი — ფოთი 25:33, რუსთავი — ფოთი 24:30. **გოგონები.** თბილისი—ქუთაისი 21:5, თბილისი — ბათუმი 26:6, თბილისი — სოხუმი 35:7, თბილისი — რუსთავი 24:9, თბილისი — ფოთი 17:16, ქუთაისი — ბათუმი 13:11, ქუთაისი—სოხუმი 13:7, ქუთაისი — რუსთავი 12:12, ქუთაისი — ფოთი 10:31, ბათუმი — სოხუმი 19:10, ბათუმი—რუსთავი 18:9, ბათუმი—ფოთი 16:26, სოხუმი — რუსთავი 12:12, სოხუმი — ფოთი 15:29, რუსთავი — ფოთი 14:39.

ჭაბუკი ხელბურთელებისთვის ეს ასპარეზობა საკავშირო ზონალური შეჯიბრებისთვის შესარჩევი ტურნირიც იყო. თბილისელები ფოთის ზონაში (26-29 მარტი) იბრძოლებენ ფინალის საგზურის მოსაპოვებლად.

**ჯ. ენდელაძე.**

# ვრნიაჩკა-ბანიას ბრძოლის ველიდან

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში (ვრნიაჩკა-ბანია, 1969 წლის დეკემბერი), როგორც ცნობილია, წარმატებით ითამაშა მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა. ტურნირში გამართულ ბრძოლაზე „ლელოს" მკითხველებს მოუთხრო ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ა. ჰიჭინაძემ წერილში „გამარჯვება ვრნიაჩკა-ბანიაში" („ლელო", 1969 წ. № 253). დღეს გთავაზობთ ნ. გაფრინდაშვილის რჩეულ პარტიებს ამ ტურნირში თ. გიორგაძის შენიშვნებით.

— გამოჩენილი იუგოსლაველი მოჭადრაკე მილუნკა ლაზარევიჩი ვაჟკაცური შემართების მებრძოლია, — თქვა მსოფლიო ჩემპიონმა. — მასთან თამაში მუდამ დიდ სულიერ კმაყოფილებას მანიჭებს, ვიცი, რომ ბრძოლა უშეღავათო და, მაშასადამე, საინტერესო იქნება. ამჯერადაც ასე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ყაიმი ხელს აძლევდა, მილუნკა მაინც მოგებაზე თამაშობდა.

როგორც მუდამ, თამაში ახლაც შავებით მომიწია. ასეთი ტაქტიკა ავირჩიე: გამოვიწვიე იერიში, რითაც პოზიცია დავასუსტებინე და მერე მისი ნაკლოვანებები გამოვიყენე.

**ლაზარევიჩი — გაფრინდაშვილი**

სიცილიური დაცვა

1. e4 g6 2. d4 კg7 3. h4 c5 4. de ლa5+ 5. c3 ლ:c5 6. h5 მf6 7. h6.

ლაზარევიჩს თამაშის გამარტივება რომ ჰქონოდა გულში, აუცილებლად გაცვლიდა ჯერ პაიკებს და მერე ეტლებსაც. მაგრამ იგი იერიშზე ოცნებობს.

7. ... კf8 8. კe3 ლc7 9. f3 e6 10. მh3 a6 11. ლd4 კe7 12. კf4 d6 13. ლf2.

აქაც შეიძლებოდა 13. e5 de 14. კ:e5 ლd8 15. ლ:d8+ თამაშის გამარტივებით.

13. ... მbd7 14. მbd2 0—0 15. კc4 b5 16. კb3 მc5 17. კc2 a5 18. g4 კa6 19. კe3 e5! 20. g5 მh5 21. f4.



თეთრების იერიშმა მიზანს ვერ მიაღწია: შავი მეფე საიმედოდაა დაცული, შავებს საგრძნობი უპირატესობა აქვთ ლაზიერის ფრთაზე, ლაზარევიჩი ჩქარობს მიმქრალი ინიციატივის დაღვივებას.

21. ... მ:f4 22. მ:f4 ef 23. კd4 b4 24. c4 კb7 25. ლ:f4 მe6 26. ლf2 მ:g5 27. კf6 ლc5 28. ლ:c5 dc 29. მ:g5 მ:g5 30. 0—0—0.

მსოფლიო ჩემპიონმა სინამდვილედ აქცია თავისი ჩანაფიქრი: ბრძოლა მისაგებ ენდშპილში გადაიყვანა. დანარჩენი, როგორც მოჭადრაკეები იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

30. ... ეad8 31. ეhg1 მe6 32. მb3 a4 33. მa5 კa8 34. ეd5.

ეს შეწირვა მხოლოდ ახანგრძლივებს წინააღმდეგობას.

34. ... კ:d5 35. cd მd4 36. კd3 მf3 37. ეf1 მe5 38. კc2 ეa8 39. მb7 ეa7 40. მd6 b3 41. ab ab 42. კb1 ეb8 43. ეg1 მფf8 44. ეg5 f6 45. ე:e5.

ეს რომ არა, მხედარი იკარგებოდა ისე, როგორც 40. მ:c5 ეc8-ის შემდეგ.

45. ... fe 46. მc4 ეe8 47. კd3 ეf7 48. მფd2 ეf2+ 49. მფc3 g5 50. მe3 ეf3 51. მფd2 ე:e3! 52. მფ:e3 მფe7 53. კe2 ეf8. თეთრები დანებდნენ.

* * *

რუმინეთის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი მ. ტეოდორესკუ პოზიციურ სტილში თამაშობს, უყვარს მანევრირება, მეტოქის პოზიციაში სუსტი უჯრების დაპყრობა. მსოფლიო ჩემპიონმა მას თავიდანვე რთული თამაში შესთავაზა და მუქარების მოგერიებისას მოატყუა: მხედარი დაიტოვა მისი „ცუდი" კუს წინააღმდეგ. ამ უპირატესობამ და ძლიერმა გამსვლელმა პაიკმა მსოფლიო ჩემპიონს გამარჯვება მოუტანეს.

**ტეოდორესკუ — გაფრინდაშვილი**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. c3 b6 3. d4 კb7 4. d5 d6 5. f3 მf6 6. კb5+ მbd7 7. მe2 a6 8. კa4 b5 9. კc2 g6 10. კg5 კg7 11. 0—0 h6 12. კe3 0—0 13. ლc1 მფh7 14. მf4 მe5 15. მd2 a5.

მსოფლიო ჩემპიონმა საიმედოდ გაამაგრა მეფის პოზიცია და თამაში ლაზიერის ფრთაზე გააჩაღა. მერე იგი ინიციატივასაც დაეუფლა.

16. a4 კa6 17. ab კ:b5 18. ეe1 ლc7 19. b3 c4 20. bc კ:c4 21. მ:c4 მ:c4 22. კd4 მfd7 23. კ:g7 მფ:g7 24. მd3 მc5.

ნონას ჭარბი პოზიციური უპირატესობა აქვს. თეთრი მხედრის გაცვლის შემდეგ პარტიის მოგება მხოლოდ ტექნიკის საქმეა.

25. მb2 მd7 26. მ:c4 ლ:c4 27. ეa3 ლc5+ 28. მფh1 მe5 29. ლa1 ეfb8 30. ეb1 ე:b1+ 31. კ:b1 მc4 32. ეa2 ლe3.

თეთრი ლაზიერი ჩაკეტილი აღმოჩნდა, შავი ლაზიერი კი თავისუფალია. სწორედ ეს აჩქარებს თეთრი გვირგვინოსნის მარცხს.

33. კc2 ეb8 34. h3 h5 35. ეa4 ეb2! 36. ეa2 ე:a2 37. ლ:a2 ლe1+ 38. მფh2 ლe2 39. კb3 მd2 40. მფg3 მf1+. თეთრები დანებდნენ.

* * *

ნ. გაფრინდაშვილს მხოლოდ რამდენიმე ენდშპილის თამაში მოუწია და ყველა შესანიშნავად ითამაშა. ბულგარეთის ჩემპიონ ვ. ასენოვასთან მან სამ დღეს იბრძოლა გამარჯვებისთვის.

გონებამახვილური კომბინაციით მოუგო ნონამ ენდშპილი ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონს შ. ვოკრჟალოვას.

**გაფრინდაშვილი**



**ვოკრჟალოვა**

შავების პოზიციური უპირატესობა ეჭვს არ იწვევს. მეტად ძლიერია მათი a3 პაიკი. მაგრამ როგორ გამოიყენონ იგი შავებმა გამარჯვებისთვის? ნონამ მიაგნო ღრმა და მოულოდნელ კომბინაციას.

33. ..., მ:a2! 34. ე:c2 მb4 35. ეc5 a2 36. ეa5 მ:d5 37. ე:a2 ეb8.

მსოფლიო ჩემპიონმა ფიგურა დაიბრუნა და ცენტრალური პაიკის წინსვლის შესაძლებლობა მიიღო.

38. ეb2 მb4 39. მფf1 d5 40. მc1 მფd6 41. მფe2 e4 42. f3 ეc8 43. მa2 მd3 44. ეd2 მფe5 45. fe de 46. მფe3 ეf8 47. b4 ეf3+ 48. მფe2 მფd4 49. b5 ეf2+ 50. მფd1 ეf1+ 51. მფc2 ეa1 52. მფb3 ეb1+ 53. მფa4 e3.

თეთრები დანებდნენ, ვინაიდან 54. ეc2 ეb2-ის შემდეგ შავი პაიკი ლაზიერში გადის.

---

**◆ ამბროლაური**

„კოლმეურნის" რაისაბჭოს საჭადრაკო პირველობაში 12 კაცმა მიიღო მონაწილეობა. I ადგილი დაიკავა ნ. გოგრიჭიანმა, II — კ. ლაშხმა. ორივემ მოიპოვა საქართველოს კოლმეურნე მოჭადრაკეთა ჩემპიონატში თამაშის უფლება.

**გ. ჯაფარიძე.**

---

# ადამიანის ჯანმრთელობის ინსტიტუტი

თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას „ჯანმრთელი ადამიანის" პრობლემა წარმოადგენს.

პირველ ყოვლისა, უნდა დავადგინოთ რა არის „ჯანმრთელი ადამიანი". თუ ვიგულისხმებთ ჯანმრთელობას წმინდა ბიოლოგიური თვალსაზრისით, მაშინ ამ ცნებაში შევა პარამეტრების დიდი რიცხვი, რომელთაც სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა მნიშვნელობა ეძლევათ. ვიტყვით, მაგალითად, რომ ჩრდილოეთში ჯანმრთელობის კრიტერიუმი ერთია, სამხრეთის ქვეყნებში კი სხვა. საერთოდ, ეს კრიტერიუმები წარმოადგენენ ისტორიულ კატეგორიას, რომელიც დამოკიდებულია ისტორიულ პერიოდზე, კლიმატურ პირობებზე, მეცნიერების ისტორიაზე და ა. შ.

მაგრამ, ჯანმრთელობის წმინდა ბიოლოგიური კრიტერიუმის გარდა, არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი, რომელზეც, კერძოდ, ამ წერილში გვექნება საუბარი. ეს არის ადამიანის მიდრეკილება საქმიანობისადმი, მისი სოციალური (გონებრივი და ფიზიკური) აქტიურობა მრავალნაირ ცხოვრებისეულ სიტუაციებში და ამ აქტიურობის შენარჩუნების უნარი მთელი ცხოვრების მანძილზე.

ზოგჯერ გამოთქვამენ აზრს, რომ სხვადასხვა ავტომატური მოწყობილობის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით ახლო მომავალში ადამიანი მთლიანად გათავისუფლდება აქტიური შრომითი მოღვაწეობისგან და მხოლოდ „მანქანური შრომის" ნაყოფით ისარგებლებს. მაგრამ ასეთი წარმოდგენა ძალზე მცდარია. სისტემაში „ადამიანი — მანქანა" წამყვანი როლი მუდამ ადამიანს დაეკისრება. ეს იმას ნიშნავს, რომ მანქანების სრულყოფასთან ერთად უფრო მაღალ მოთხოვნილებებს წავუყენებთ ადამიანის აქტიურობას, პირველ ყოვლისა, მის გონებრივ-ფსიქიკურ მუშაობას.

მოინახოს გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ადამიანის ასაკის, პროფესიისა და ცხოვრების პირობების შესაბამისად უზრუნველვყოთ მაქსიმალური აქტიურობა მის გონებრივ-ფსიქიკურ და ფიზიკურ მუშაობაში. სწორედ ეს არის „ჯანმრთელი ადამიანის" პრობლემა.

ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულება, სადაც ეს უდავოდ აქტუალური და მიმზიდველი თემა მუშავდება, ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია.

ერთი შეხედვით ეს შეიძლება ცოტა საკვირველიც იყოს, მაგრამ რომ დავუფიქრდეთ, გასაკვირი არაფერი იქნება. რა არის სპორტი? ეს არის სხვადასხვაგვარი ცხოვრებისეული სიტუაციების დინამიკური „მოდელი". შეჯიბრებების პროცესში და მოსამზადებელ პერიოდში სპორტსმენები პრინციპში ისეთსავე ამოცანებს ხვდებიან, როგორსაც ადამიანი ჩვეულებრივ პირობებში გადაჭრის ხოლმე. კერძოდ, სპორტის ყოველი სახეობა — ესაა არა უბრალოდ სპორტის სახეობა, არამედ განსაკუთრებული ცხოვრებისეული კოლიზია.

მეორე მხრივ, სპორტსმენის მომზადების ამოცანა განუწყვეტლივაა დაკავშირებული სხვადასხვა პირობებში გონებრივი, ფსიქიკური და ფიზიკური აქტიურობის პრობლემების დამუშავებასთან — დაწყებული ეგრეთ წოდებული ჰიპოდინამიით, ანუ, აქტიურობის შეზღუდვით, და დამთავრებული ჰიპერდინამიით, ე. ი. უმაღლესი დაძაბულობით. ამ პრობლემებს მრავალრიცხოვანი ანალოგიები აქვს: მაგალითად, ჰიპოდინამიასთანაა დაკავშირებული მეცნიერებისა და ოპერატორების მუშაობა სხვადასხვა ავტომატური სისტემის პულტებთან, კოსმონავტების მუშაობა ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის დროს და ა. შ.

ამიტომ არა მარტო სავსებით შესაძლებელია, არამედ ბუნებრივი და კანონზომიერიცაა სპორტსმენების გონებრივი, ფსიქიკური და ფიზიკური აქტიურობის უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტისკენ მიმართული კვლევის შედეგები სპორტის ფარგლებს გარეთაც გავავრცელოთ.

სწორედ ამ გზაზეა საჭირო ჯანმრთელი ადამიანის პრობლემის ძიება, რადგან ჯანმრთელობას საფუძვლად უდევს გონებრივი და ფიზიკური აქტიურობის ერთობლიობა.

ასეთი იყო ძირითადი იდეა, რომლის განხორციელებასაც ინსტიტუტის მუშაკები შვიდი წლის წინ შეუდგნენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ა. კორობკოვის ხელმძღვანელობით.

იმ დროისთვის ინსტიტუტის თანამშრომლები წამყვანი სპორტსმენების მცირერიცხოვან ჯგუფთან მუშაობდნენ უმთავრესად უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარების პრობლემაზე, ესე იგი, ჰიპერდინამიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მაგრამ ბოლო წლებში სამეცნიერო კვლევის თემატიკა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ახლა იგი მოიცავს არა მარტო დატვირთვის სხვადასხვა მნიშვნელობას, არამედ ადამიანთა სხვადასხვა ასაკს, სიცოცხლის პირველი წლიდან და პირველი თვეებიდანაც კი ღრმა მოხუცებულობამდე.

„ჯანმრთელობის პრობლემის" კომპლექსური გადაწყვეტისთვის ინსტიტუტში შექმნილია უმაღლესი სპორტული ოსტატობის, ესე იგი, ჰიპერდინამიის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, მედიცინისა და ბიოლოგიის პრობლემების, ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის ლაბორატორიები, აგრეთვე, სოციალური პრობლემების ლაბორატორია, რომელიც სწავლობს ქალაქად და სოფლად ფიზიკური კულტურის განვითარების სხვადასხვა მხარეს. შექმნილია შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და შრომითი რეზერვების სისტემაში ფიზიკური კულტურის შემსწავლელი ლაბორატორია.

წარმატებით მუშაობს, აგრეთვე, ბიოენერგეტიკის ლაბორატორია, სადაც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ენერგეტიკულ პროცესებს სწავლობენ უჯრედის დონეზე. ამავე ინსტიტუტშია ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი ბიომექანიკის ლაბორატორია.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჯანმრთელი ადამიანის ფარმაკოლოგიის ლაბორატორია. აქ წარმოებს მეტად პერსპექტიული ძიება სხვადასხვა პრეპარატის შექმნისთვის, რომლებიც ეფექტურად უწყობენ ხელს ადამიანის შრომისუნარიანობის ზრდას. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავურიოთ ასეთი პრეპარატები ყბადაღებულ დოპინგებთან. როგორც ცნობილია, დოპინგების გამოყენება მიმართულია ადამიანის მოქმედების მცირე ხნით სტიმულირებისკენ, უკანასკნელი შესაძლებლობების ხელოვნური „გამოწურვისკენ". დოპინგის მოქმედების შედეგად ორგანიზმი „ცვდება". ჯანმრთელი ადამიანის ფარმაკოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლები სულ სხვა პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობენ. ისინი ადამიანის ორგანიზმში ცვლის არასწორი პროცესების გამოსწორებისა და მათი მართვის გზებს ეძებენ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლაპარაკია სტიმულირების არა ახალი საშუალებების ძებნაზე, რაც საბოლოო ჯამში ორგანიზმის გამოფიტვას იწვევს, არამედ ზემოქმედების ისეთი მეთოდების დამუშავებაზე, რომელთა მთავარი მიზანია უზრუნველყონ ადამიანის მრავალრიცხოვანი ორგანოების ყველაზე მწყობრი და შეთანხმებული მუშაობა.

კერძოდ, წყდება მეტისმეტად მნიშვნელოვანი საკითხი — ორგანიზმის ეფექტური აღდგენის ამოცანა ავადმყოფობის ან ინტენსიური, დაძაბული მუშაობის შემდეგ. ამ პრობლემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვისი მოღვაწეობაც ფიზიკური და სულიერი ძალების მეტისმეტ დაძაბვასთანაა დაკავშირებული, მაგალითად, მფრინავებისთვის, კოსმონავტებისთვის, წყალქვეშ და [illegible] ლეებზე მომუშავე ხალხისთვის, ცხელი საამქროების მუშებისთვის და სხვ.

ამჟამად უკვე შექმნილია რიგი პრეპარატებისა, რომლებიც საშუალებას იძლევიან შედარებით მოკლე ხანში ამაღლდეს ადამიანის შრომისუნარიანობა, ეფექტურად აღდგეს მისი ძალები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ნივთიერებებიდან ზოგიერთი თვით ადამიანის სხეულში გამომუშავდება, მაგრამ საამისოდ ორგანიზმი გარკვეულ ენერგიას ხარჯავს. მეცნიერები კი ისწრაფვიან იქით, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ასეთი ნივთიერებები ადამიანს მზა სახით ჰქონდეს.

მეცნიერების ისტორიას არ ახსოვს ჯანმრთელობის პრობლემის ასე ფართოდ გაშუქება. რასაკვირველია, მაგალითად, კოსმონავტების მომზადების, სხვადასხვა ასაკის ადამიანთა ფიზკულტურული ვარჯიშისა და ცალკეულ სხვა საკითხებზე მუშაობენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც. მაგრამ ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მსოფლიოში ერთადერთია, სადაც ამ პრობლემას ასე კომპლექსურად და მრავალმხრივად ამუშავებენ. ამ ინსტიტუტის კედლებში ჩატარებული მუშაობა ყველა ადამიანს ეხება. ლაპარაკია იმაზე, რომ გაიზარდოს ადამიანის შემოქმედებითი ცხოვრების ხანგრძლივობა, შემცირდეს ავადმყოფობის პერიოდი, გაფართოვდეს მუშაობის შესაძლებლობები რთულ პირობებში, სხვადასხვა კლიმატურ სარტყელში, კოსმოსურ სივრცეში.

ძიება მხოლოდ დაიწყო. წინაა უდიდესი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება დავასახელოთ ის ძირითადი საშუალება, რომლის მეოხებითაც მეცნიერები იმედოვნებენ მათ წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტას. ეს საშუალება ფიზიკური კულტურაა — ამ სიტყვის ფართო გაგებით.

ფიზიკური კულტურის სისტემა მარტო ვარჯიშების კომპლექსი როდია, რომელსაც ადამიანს ურჩევენ სხვადასხვა შემთხვევისთვის. ეს არც სხვადასხვა ნორმატიული სისტემებია. ესაა სხვა საკითხების სიმრავლე, კერძოდ, ისეთი საკითხებისა, როგორიცაა ყოველი ადამიანის მიერ თავისი ორგანიზმის შესაძლებლობებისა და თავისებურებების ცოდნა, გარემო პირობების გამოყენება, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოძრაობითი რეჟიმის დამუშავება, ადამიანის ფსიქიკისა და ინტელექტის ფორმირებაში მოძრაობის როლის შესწავლა.

წამოყენებულია მეტად საინტერესო იდეა მოსახლეობის საერთო დისპანსერიზაციის შესახებ, მაგრამ უკვე არა მარტო სხვადასხვა ავადმყოფობის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, როგორც ეს ამჟამად ხდება, არამედ იმ მიზნითაც, რომ ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოფილი იყოს მისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი სისრულე და ეფექტურობა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დგება ადამიანის ფიზიკური კულტურის მართვის ამოცანა, ამას კი უდავოდ უდიდესი მნიშვნელობა ექნება საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის.

**ვ. კომაროვი,**

ახალი ამბების სააგენტოს მეცნიერი კომენტატორი.

---

**ახალი ამბები**

● **ყარაგანდა, 13 იანვარი.** ყაზახეთის მეშახტეთა დედაქალაქში სამ დღეს მიმდინარეობდა ჩელიაბინსკის, ომსკის, ნოვოსიბირსკის, ბარნაულის, ყაზანისა და ყარაგანდის 90 სპორტსმენის შეჯიბრება ფიგურულ ციგურაობაში. საპატიო ნადავლი — საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავი-კოსმონავტის ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას სახელობის პრიზი მასპინძელთა გუნდს ხვდა.

● **კამენსკ-ურალსკი, 13 იანვარი.** ურალის ალუმინის ქარხნის ელექტროლიზის საამქროს მუშებმა გაიარეს სიმბოლური ტრასის (კამენსკ-ურალსკი — ულიანოვსკი — კამენსკ-ურალსკი) პირველი ასეული კილომეტრი. საწარმოს ერთ-ერთმა მთავარმა, ამ საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა წლევანდელ ზამთარს საერთო ჯამში 3000 კილომეტრი გადალახოს.



სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

# პირველი წრის ფინიშთან

გუშინწინ ალმა-ათაში გაიმართა პირველი წრის ბოლო კალენდარული მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და კაუნასის „ჟალგირისი“. დარჩა ორად ორი გამოტოვებული შეხვედრა, რომელთაგან ერთი თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკს“ შორის ხვალ გაიმართება, მეორე კი იმავე თბილისის „დინამოსა“ და ტარტუს „კალევს“ შორის — ცოტა მოგვიანებით.

ტურნირის პირველი მესამედის საბოლოო შედეგებზე საუბარი ნაადრევია, ვინაიდან დარჩენილ ორ შეხვედრას შეუძლია ერთგვარი გადაჯგუფება მოახდინოს სატურნირო ცხრილში, მაგრამ ეს უმთავრესად ეგრეთ წოდებულ ოქროს შუაგულს შეეხება. ლიდერებისა და აუტსაიდერების მდგომარეობა გარკვეულია.

დავიწყოთ იმით, რომ წინა ჩემპიონატთან შედარებით, ლიდერთა ხუთეულში არსებითი ცვლილება არ მომხდარა: ხუთეულს გამოაკლდა მხოლოდ თბილისის „დინამო“. მისი ადგილი მოსკოვის თანაკლუბელებმა დაიკავეს. აა, შარშანდელი და წლევანდელი ხუთეულები.

| შარშან | თ. | მ. | წ. | ქ. | წლეულს | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბ) | 11 | 9 | 2 | 9 | „სტროიტელი“ | 11 | 9 | 2 | 9 |
| „სპარტაკი“ | 11 | 9 | 2 | 9 | ცსკა | 11 | 9 | 2 | 9 |
| „ჟალგირისი“ | 11 | 8 | 3 | 8 | „ჟალგირისი“ | 11 | 8 | 3 | 8 |
| ცსკა | 11 | 7 | 4 | 7 | „სპარტაკი“ | 11 | 7 | 4 | 7 |
| „სტროიტელი“ | 11 | 7 | 4 | 7 | „დინამო“ (მოსკ.) | 11 | 7 | 4 | 7 |

როგორც ხედავთ, წინა ჩემპიონატის ბულალტერია სრული სიზუსტით მეორდება. მეორდებიან (უმთავრესად) ხუთეულში მონაწილე გუნდებიც, ოღონდ ადგილებს წლეულს ოდნავ სხვადასხვაგვარად ინაწილებენ. საგულისხმოა მხოლოდ „სტროიტელის“ წარმატება, რომელმაც შარშანდელთან შედარებით ოთხი ადგილით წინ გადაინაცვლა და ძველ მარაგსაც 2 ქულა დაუმატა. ხუთეულის დანარჩენმა წევრებმა წინ წაიწიეს თითო თუ ორი ადგილით, ან ჩამოქვეითდნენ.

გადავავლოთ თვალი აუტსაიდერებს:

| შარშან | თ. | მ. | წ. | ქ. | წლეულს | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვეფ (რიგა) | 11 | 3 | 8 | 3 | „ლოკომოტივი“ | 11 | 3 | 8 | 2 |
| ასკ (რიგა) | 11 | 2 | 9 | 2 | ასკ (რიგა) | 11 | 2 | 9 | 2 |
| „ლოკომოტივი“ | 11 | 1 | 10 | 1 | „ურალმაში“ | 11 | 1 | 10 | 1 |

ცხრილები, ჩვენი აზრით, კომენტარს არ საჭიროებენ. შევახსენებთ მხოლოდ, რომ შარშან ვეფ-მა დაკარგა უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება. მისი ადგილი დაიკავა სვერდლოვსკის „ურალმაშმა“.

ახლა კი დავუბრუნდეთ გუშინწინდელ მეტოქეებს. „ჟალგირისმა“ ალმა-ათაში მეტად ძნელი გამარჯვება მოიპოვა (76:75), მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს წარმატება ძვირი და რთული იყო, მისი ფასიც განსაკუთრებულია: ალმა-ათაში აღებულმა ქულამ „ჟალგირისი“ პირველ წრეში III ადგილზე გაიყვანა.

გამარჯვების შანსი მასპინძლებსაც ჰქონდათ და, შესაძლოა, „ჟალგირისზე“ მეტიც. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე „ლოკომოტივი“ წინ იყო 1 ქულით (75:74). მაგრამ სწორედ ამ რამდენიმე წამში ლიტველებმა მიიღეს 2 საჯარიმო სროლის უფლება, რაც შეუცდომლად გამოიყენა გუნდის ლიდერმა პაულაუსკასმა.

ერთი საინტერესო დეტალი: „ჟალგირისმა“ თავისი 8 ქულიდან 4 შინ აიღო და 4 — სტუმრად. როგორც ჩანს, ლიტველებისთვის არ არსებობს საკუთარი და მეტოქის მოედნის პრობლემა. სულ სხვა მდგომარეობაშია, და ეს გასაგებიცაა, „ლოკომოტივი“: მან სამივე ქულა ალმა-ათაში აიღო.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 იანვრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სტროიტელი“ (კიევი) | 11 | 9 | 2 | 925—794 | 9 |
| ცსკა | 11 | 9 | 2 | 912—793 | 9 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 11 | 8 | 3 | 843—812 | 8 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 11 | 7 | 4 | 852—787 | 7 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 7 | 4 | 946—890 | 7 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 10 | 6 | 4 | 780—792 | 6 |
| ასკ (კიევი) | 11 | 5 | 6 | 805—768 | 5 |
| „დინამო“ (თბილისი) | 9 | 4 | 5 | 627—684 | 4 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 10 | 3 | 7 | 736—834 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) | 11 | 3 | 8 | 831—916 | 3 |
| ასკ (რიგა) | 11 | 2 | 9 | 802—882 | 2 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 11 | 1 | 10 | 830—937 | 1 |

# ტყე ხეებს უკან

„სამხრეთ აფრიკას არა აქვს შესაძლებლობა კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს დანარჩენ სამყაროსთან, რადგან აქ საუკეთესო სპორტსმენებს სხვა ქვეყნების ათლეტებთან ასპარეზობას უშლიან“. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გავლენიანი გაზეთიდან „დი ნატალერიდან“ ამოღებული ეს სიტყვები თავისებურ ფსიქოლოგიურ ყუმბარად იქცა, რადგან ამ რასისტულ სახელმწიფოში ჯერ არავის გაუბედავს გაკრიტიკება სპორტში დისკრიმინაციის პოლიტიკისა, რასაც პრემიერ-მინისტრი ფორსტერი და მმართველი პარტია ატარებენ.

თუმცა, ავტორი — გაზეთის მთავარი რედაქტორი ვენტერი თავის რისხვასავრცელებს მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკაზე სპორტში. მას აღელვებს ის ამბავი, რომ აშშ-ს უძლიერეს ჩოგბურთელს, ზანგ ა. ეშს ვიზა არ მისცეს. „ჩვენთვის გასაგებია როგორ მოხდა ეს. ეშს ვიზა რომ მიეღო, ეს ნიშნავდა რასობრივი პოლიტიკის მარცხს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინაშე ძალიან მძიმე სპორტული პერსპექტივა იშლება. აი, რატომ გვინდა ვიზა მივცეთ ფერადკანიან სპორტსმენებს — ახალი ზელანდიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ათლეტებს, რომელთაც ჩვენში ჩამოსვლა და ასპარეზობა სურთ“.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ფორსტერის რეჟიმი გააკრიტიკეს, დადებითი მოვლენაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვენტერს ყველაზე მეტად ის აფიქრებს, რომ იზოლაციაში მოქცეულმა სამხრეთაფრიკელმა სპორტსმენებმა შეიძლება ოსტატობის დონე დაკარგონ. მას არ აღელვებს თავისთავად აპარტეიდის პოლიტიკა, ან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფერადკანიანი მოსახლეობის მდგომარეობა. ამიტომ „დი ნატალერის“ მიერ ატეხილი აურზაური მხოლოდ ანელებს ყურადღებას მთავარი პრობლემის — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის ლიკვიდაციის საკითხის გადაჭრისადმი. ბატონი ვენტერი ხეებს უკან ვერ ხედავს ან არ სურს დაინახოს ტყე.



# იტალიას დაუბრუნა...

იტალიელები თომაზო გალი და სალვატორე ბურუნი კარგა ხანს იყვნენ ევროპის ჩემპიონები პროფესიონალ მოკრივეთა შორის უმჩატეს წონაში. შემდეგ ეს წოდება ესპანელმა მიმუნ ბენ ალიმ მოიპოვა.

ამას წინათ 29 წლის იტალიელმა ფრანკო ძურლომ მე-15 რაუნდში ქულებით მოუგო 34 წლის ბენ ალის და ევროპის ჩემპიონის ტიტული კვლავ იტალიას დაუბრუნა.

• • •

სურათზე: ფ. ძურლოსა და მ. ბენ ალის შეხვედრის მომენტი.

# პროგრამა ვრცელი იქნება

ბელგრადი, 12 იანვარი. აქ ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და იუგოსლავიის ფიზიკური კულტურის კავშირის ურთიერთთანამშრომლობის პროგრამას 1970 წლისთვის. იგი ითვალისწინებს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების მრავალრიცხოვან შეხვედრებს წყალბურთში, კლასიკურ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში... მაგალითად, სსრ კავშირის ფეხბურთელთა მეორე ნაკრები ბელგრადში გამოვა, იუგოსლავიის პირველი ნაკრები კი მოსკოვში ითამაშებს. მოხდა მოლაპარაკება სპეციალისტებისა და სპორტული ლიტერატურის გაცვლა-გამოცვლის შესახებაც.

საბჭოთა კავშირის მხრიდან პროგრამას ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ელისეევმა.

# 31 წლის შემდეგ

კალგარი, 14 იანვარი. კანადის ამ ქალაქის დარბაზში გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ შეჯიბრებაში ამერიკელმა სტუდენტმა, 21 წლის კ. კლეიტონმა 50 იარდი ზუსტად 5 წამში გაირბინა, რაც 0,1 წამით სჯობს გამარჯვებულის თანამემამულე ბ. ეველის არაოფიციალურ მსოფლიო მიღწევას, დამყარებულს... 1939 წელს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



△ დრეზდენი. ადგილობრივი „აინჰაიტისა“ და ბუდაპეშტის „დოჟას“ მოცურავეთა მატჩი ახალ, 50-მეტრიან აუზში გაიმართა. ბრწყინვალედ იასპარეზა ცნობილმა უნგრელმა სპორტსმენმა ბოროიმ, რომელმაც 6 სახეობა მოიგო: 100 (57,7), 200 (2.06,9) და 400 მ (4.33,4) თავისუფალი სტილით, 100 (1.05,1) და 200 მ (2.20,4) გულაღმა, აგრეთვე, 400 მ კომპლექსური ცურვა — 5.06,3. გუნდური გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 190:152.

△ ადელაიდა. ავსტრალიელ მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 800 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდის თანაავტორმა რ. დაუბელმა ამ დისტანციაზე 1.46,8 აჩვენა. ეს წლეულს საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში კ. ო'ბრაიენმა ამჯერადაც მაღალი შედეგით (8.31,4) გაიმარჯვა. 5000 მეტრზე მან დაამარცხა რ. კლარკი — 13.51,8. სამაგიეროდ, კლარკმა 10000 მეტრის გარბენას 29.15,4 მოანდომა და I ადგილი დაისაკუთრა.

△ მადრიდი. მ. კარბალოსანჩესმა დარბაზში 50 მეტრი 5,7 წამში გაირბინა. ეს კარგი შედეგია.

△ სან-პაულუ. ტრადიციული საახალწლო „კორიდა სენ-სილვესტრეს“ შემდეგ ამ ქალაქის სტადიონზე გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. 1500 მეტრზე რბენა მოიგო ინგლისელმა მ. უიგსმა — 3.56,0, 3000 მეტრზე ასპარეზობაში ყველას აჯობა ი. ო'რეილიმ (აშშ) — 8.41,6, 5000 მეტრზე საუკეთესო იყო იუგოსლაველი ჯ. კორიცა — 14.29,0, 10000 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მიიჭრა მექსიკელი ხ.-მ. მარტინესი — 30.04,6.

△ ბრისბენი. ავსტრალიის ამ ზღვისპირა ქალაქის სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 200 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა პ. ნორმენმა 100 იარდი 9,5 წამში გაირბინა. ქალთა შეჯიბრებაში გ. ჰოფმენმა 200 მ 23,6 წამში დაფარა და 633 სმ სიგრძეზე გადახტა. ს. ბრაუნმა 400 მ 54,3 წამში გაირბინა.

△ სან-ფრანცისკო. აშშ-ს მძლეოსანთა ასპარეზობაში, რომელიც დარბაზში გაიმართა, ჭოკით ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი რ. სიგრენი ახალგაზრდა ს. კარაზერსთან დამარცხდა. ორივემ 518 სმ სიმაღლე გადალახა, მაგრამ ჩემპიონს მეტი ცდა დასჭირდა. ათჭიდში მსოფლიო რეკორდსმენმა ბ. ტუმეიმ მოიგო ოთხჭიდი — 3995 ქულა. ჯ. კარლოსმა 60 იარდი 6 წამში გაირბინა. რ. ბრაუნმა 218,5 სმ სიმაღლე გადალახა.

△ ჟენევა. აქ გაიმართა მოცურავეთა უჩვეულო ესტაფეტა 100×100 მეტრზე. სასპარეზოდ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. ქალები და ვაჟები ტურნირში ერთად გამოვიდნენ. გამარჯვებულმა გუნდმა 2:13.59,3 აჩვენა.

19-29 იანვარს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდება საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების ათდღიანი რესპუბლიკური კურს-სემინარი.

სემინარზე ჩამოსულთა რეგისტრაცია იწარმოებს შესაბამის სამინისტროებში 19 იანვარს 12 საათამდე. მეცადინეობა დაიწყება იმავე დღეს 14 საათზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

თბილისის სპორტის სასახლე



კალათბურთი

სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის ვაჟთა გუნდებს შორის

18 იანვარი

„დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი).

დასაწყისი 20 ს.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.